

# ირაკლი ბრაზული

გეკაცის პერმენევტიკა:

პიეროვანიები  
და  
ენერგეტიკული პარალელმახი

გამომცემლობა „აქტი“  
თბილისი – 2021

# **IRAKLI BRACHULI**

## **HERMENEUTICS OF OVERMAN:**

HIEROPHANIES END  
ENERGETIC PARADIGMS

**TBILISI – 2021  
PUBLISHING ACT**

ფილოსოფოსები აღარ ლაპარაკობენ „ინდუსტრიული საზოგა-დოების“ აგონიაზე, ისინი უფრო მისი შემდგომი ფაზის, ე.წ. პოსტ-ტექნიცისტური ეპოქის ნიშნებს განიხილავენ. „პოსტადამიანი“, აი თანამედროვე პერმენევტიკული სიტუაციის ძირითადი მოცემულობა. სადამდე მივიდა ის „შემოქმედებითი ევოლუცია“, რომელ-საც ნიცშე, ბეგსონი და სხვები იკვლევდნენ? აი მისი ძირითადი კითხვა. ამბობენ ნიცშეს ყველა წინასწარმეტყველება ახდაო; თუ ასეა, მაშინ უკვე მოგვცემია იმის შესაძლებლობა, რომ ზეკაცის შესახებ პროგნოზი რეალობას შევუდაროთ.

### რედაქტორი:

გურამ თევზაძე

### რეცენზიენტები:

ირაკლი ბათიაშვილი,

ალექსანდრე ალადაშვილი

ტექ. რედაქტორი: კახაბერ რუსიძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

© ირაკლი ბრაჭული

ISBN 978-9941-8-3782-1

# სარჩევი

ნინათქმა .....	8
შესავალი	
ზეპაზი და ქარიზმატული ალორძინების პერმანენტიკა .....	10
<b>თავი I. პერმანენტიკული სითუაცია .....</b>	<b>17</b>
1. ცოდნის არაკლასიკური იდეალები .....	17
2. პერმენევტიკის საჩუმათო ამბავი .....	24
3. კვლავდაბრუნების ენერგია .....	28
4. კონცეპტები და კონცეპტუალური პერსონაჟები .....	33
5. ზეკაცის ვარიაციები .....	40
<b>თავი II. პერმანენტი</b>	
<b>სიცოცხლის პერმანენტიკა .....</b>	<b>47</b>
6. კარტეზიანული ინტუიცია .....	47
7. სიცოცხლის ინტუიცია .....	51
8. ლიბიდური ენერგეტიკა .....	57
9. სიცოცხლის ეიდეტური ინტუიცია .....	60
10. მოძღვრება რეგიონულ ონტოლოგიებზე .....	64
11. ბუნებრივი განწყობის დოგმატიზმი და მისი რადიკალური შეცვლა.	
სიცოცხლით სავსე სიცოცხლე .....	67
12. პერმენევტიკის უნივერსალური პროექტების მეთოდიკა და ტექნოლოგია .....	70
13. სულისმეცნიერებათა ფარული პოზიტივიზმი .....	75
14. პუმანოიდის ვინაობა ეთიკურ-ესთეტიკური ანთროპოლოგია .....	78
<b>თავი III. ღიღი პომბინატორი</b>	
<b>თამაშის პერმანენტიკა .....</b>	<b>80</b>
15. თამაშის პერმენევტიკული მნიშვნელობა .....	80

16. აბსურდის გმირი.....	81
17. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგია .....	84
18. კონცეპტუალური კარგასის მითი .....	87
19. მითების მითოლოგია .....	90
20. სუპერმენი .....	92
<b>თავი IV. მითის კაზები</b>	
<b>მითოსური ჰეროენეზოპიკა .....</b>	<b>95</b>
21. შესაძლებლობა .....	95
22. საიდუმლო ენერგეტიკა (ანთროპოსოფია – უნივერსალური სულისმეცნიერება).....	99
23. მისტერიათა კულტურის ინაგურატორი .....	107
24. ტოტემური კომპლექსი.....	110
25. მითის კაცის ურთიერთობა ჰუმანოიდთან და დიდ კომბინატორთან .....	113
<b>თავი V. ტაძრის კაზი</b>	
<b>როლიკული ჰეროენეზოპიკა.....</b>	<b>117</b>
26. ზეკაცი და ორფეოსი .....	117
27. სოფიოპრაქსისი .....	120
28. არსებობა, ყოფიერება და არსება.....	126
29. ესქატოლოგიური მეტაფიზიკა .....	130
30. მესამე აღთქმის წინასწარი განჭვრეტა .....	137
31. ნეოქრისტიანული თეურგია.....	140
32. ანდროგენი .....	144
<b>თავი VI. ენის ეალამი</b>	
<b>ონთოთეოლოგიური ჰეროენეზოპიკა .....</b>	<b>148</b>
33. საუბარი კარდუსთან .....	148
34. ენის ქადაგი.....	149
35. შორი გზით ენისაკენ .....	154
<b>თავი VII. ჩეკაცის შეძრენება და პრახე</b>	
<b>ეპსისტემური ჰეროენეზოპიკა .....</b>	<b>157</b>
36. ადამიანის გადალახვა: სიკვდილის ჰერმენევტიკა.....	157
37. სიკვდილის მეცნიერული მოდელი .....	159
38. სიკვდილის თეოლოგიური სქემა .....	161

39. სიკვდილის ფილოსოფიური თეორია .....	162
40. ლევინასის შენიშვნები სიკვდილის ონტოლოგიურ ანალიზზე.....	166
41. ზეკაცის შეძრნუნება და კრახი .....	170
<b>თავი VIII. პიროვანიების პერმანენტიკა.....</b>	<b>175</b>
42. „სიცოცხლის დაუბოლოვებელი X“.....	175
43. ექსისტენციალური კათარზისის ტრიადული დიალექტიკა .....	180
44. მონინება განმეორებისადმი.....	182
45. ადამიანის ბიბლიური პერსპექტივები .....	185
46. პიროვნება, თემი და აღმსარებლობა .....	187
47. უქმნელი ენერგიების სინერგეტიკა.....	189
48. მადლი და ყოველდღიურობა.....	191
<b>შეკამება.....</b>	<b>194</b>
<b>Irakli Brachuli</b>	
<b>Hermeneutics of Overman:</b>	
<b>Hierophanies and Energetic Paradigms .....</b>	<b>197</b>
<b>დამოწმებული ლითერატურა .....</b>	<b>200</b>
<b>გამომცემდობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....</b>	<b>208</b>

## წინათქმა

„მოდის დრო, როცა ფილოსოფიური წიგნები ისე ველარ დაიწერება, როგორც ძველად იწერებოდა“.

**უილ დელოიზი**

ეს წიგნი ცდაა, გაჰყვეს ფილოსოფოსობის იმ გზას, რასაც იასპერსმა უწოდა კაცობრიობის „სულიერი სიტუაციის (Geistes-situatione) ანალიზი“, გადამერმა „გაგებითი ანალიზი“, არენდტმა „შესავალი ახალი ადამიანის კონდიციაში“. ამგვარი ანალიზი სხვადასხვა გზითა და საშუალებებით ხორციელდება. თანამედროვე ფილოსოფიის პრეზენტატორები ხშირად აზრს აქცევენ კონცეპტუალურ პერსონაჟებად და ფიგურებად. ფილოსოფიური აზრის „გაფიგურება“ ნიცვეს შემდეგ აქტუალურ პრობლემად იქცა. ხოლო მის მიერ გამოგონილი ზეკაცის ფიგურა თანამედროვეობის მთავარი ფილოსოფიური თემა და თავსატეხი გახდა.

ჰერმენევტიკის შესწავლამ უნდა გამოავლინოს ზეკაცის ფიგურა, რომელიც ამ „დისციპლინის“ წიაღიდან იშვა. წიგნის თავებად წარმოდგენილი სახელები: „ჰემმანიდი“, „დიდი კომბინატორი“, „ტაძრის კაცი“, „მითის კაცი“, „ენის ქადაგი“, – ვფიქრობ, ზეკაცის ვარიაციებს აღნიშნავენ და თანამედროვე ფილოსოფიური კლიმატის კრისტალიზაციებს წარმოადგენენ. მკითხველი წიგნში ყველგან შეხვდება აღნიშნული „კლიმატის“ დამოწმებებსა და რეფერენციებს.

ზეკაცის ფიგურების წაწილი მოვხაზეთ ადრე გამოქვეყნებულ ნარკვევში „ზეკაცის მსოფლმხედველობა. ჰერმენევტიკის ენერგეტიკული პარადიგმები“ (1987). ამ ფიგურებს თან არ ახლავს სისტემატური შტუდიები ეპისტემოლოგიასა და ფილოსოფიის ისტორიაში. ჩვენი წიგნის „ფიგურების“ ამგვარი კომენტარი შეიძლება სხვა ტიპისა და მიზანდასახულობის წიგნის თემა გახდეს. ზეკაცის

თემის შემდგომმა დამუშავებამ გამოკვეთა მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც აღნიშნულ ნარკევევში მხოლოდ იმპლიციტურად იყო ნაგულისხმევი. ამ ასპექტის გამოსახატავად რუდოლფ ოტომ გამოიგონა ტერმინი „ნუმინოზური“, ხოლო მირჩა ელიადეს შრომებმა, რომანებმა და სცენარებმა ხელი შეუწყვეს სიტყვა „ჰიეროფანიების“ (სასაწაულჩენების) გავრცელებას თანამედროვე მოაზროვნე სამყაროებში. ჰიეროფანიები ჰიერონევტიკის ენერგიული პარადიგმების მოქმედ სინთეზებად და მიწყივ ანტითეზებად შეიძლება განვიხილოთ, მათ დინამიკურ დაახლოებასა და დაშორებაში. როგორც პოლ რიკიორი შენიშნავს, „ღმერთის სიკვდილი“ და მარადიული კვლავდაბრუნების მითი პოსტულირებენ „მკვდრეთით აღმდგარი ღმერთის“ ფიოლოსფიურ ექვივალენციებს.

ავტორი მადლობას უხდის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. ამ წიგნის ბევრი პასაური წლების განმავლობაში მათთან ჩატარებული სემინარების შედეგად შეიქმნა.

## შესავალი

### ზეპაცი და ქარიზმატული აღორძინების ჰერმენევტიკა

„გასწავით ზეკაცს, ადამიანი რაობაა, რომლის  
დაძლევა ხამს. რა ჰქმენით მის დასაძლევად?“.  
**ფრიდრიხ ნიცშე**

რომაული მითოლოგიდან, ნიცშემ აიღო მისი უმაღლესი ფორ-  
მულა „ღმერთი მოკვდა“, რომელიც წარმართული რელიგიური პან-  
თეონის მხილებას ანუ კერპების მსხვრევას გამოთქვამს. კერპების  
მსხვრევა არის დაწყებითი საფეხური ახალ რჯულზე მოქცევისა;  
„ახალ რჯულზე მოქცევა“, რადიკალური მენტალური შემობრუნე-  
ბა, გადატრიალება რეფლექსიაში, ადამიანის არსების განახლებას,  
ქარიზმატულ აღორძინებასა და სამყაროს ახალი განზომილების  
გახსნას მოასწავებს. ნიცშემ დაინახა, რომ ადამიანი „ევოლუციის  
შუაზაზე“ შეჩერდა, რამაც შეაფერხა და შეაჭირვა ადამიანური  
ყოფის არსებითი სტრუქტურები.

„პოსტ-ფილოსოფიური“ მიმდინარეობანი ნაკლებად არიან და-  
ჯილდოვებულნი XIX საუკუნის პათეტიკურ-ტრაგიკული ტემპერ-  
ამენტით. ისინი აღარ სვამენ კითხვებს: ღმერთი თუ არსებობს?,  
უკვე აღარ არის თუ ჯერ არ არსებობს? ამის გასაგებად ძალზედ  
ადრე ხომ არ არის ან უკვე დაგვიანებული ხომ არ არის? მათ  
თითქოს უკან მოიტოვეს საკითხთა ეს ძველი წრე და ახლა უკვე  
კითხულობენ: პრეადამიანურიდან გამოსული ისტორია პოსტადა-  
მიანურ ფაზაში ხომ არ შევიდაო.

ყველა ვინც ცდილობს შეიცნოს დროის თავისებურებანი და  
ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარი, იძულებული ხდება გამოი-  
ყენოს მოარული სინტაგმა – „პოსტ“. ამ ნიშნის მიხედვით, ჩვენ  
ამჟამად ვიმყოფებით კაცობრიობის ცხოვრების ისეთ პერიოდში,

რომელშიც წარმოიშობა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რასაც ეწოდება „ადამიანი“. ფინალისტური რედუქციონიზმის ტენდენციამ გამოიწვია მასიური შემოტანა „პოსტ-“, ის აკადემიური ორეულებისა, განსაკუთრებით კი პრედიკატისა – „მეტა“. აქტიურად ფორმირდებინა „მეტაენის“, „მეტატექსტის“, „მეტამეცნიერების“, „მეტაფისიქოლოგის“, „მეტაფილოსოფის“, „მეტარელიგისა“ და „მეტაპოლიტიკის“ დისციპლინები, როგორც „არატრადიციული“ ან „ალტერნატიული“ პერსპექტივები ადამიანური განზომილებისა.

ინგმარ ბერგმანის ფილმში – „ზიარება“, ხშირად მეორდება ფრაზა: „ღმერთი სდუმს, ღმერთი სდუმს, ღმერთი სდუმს“. ამის შემდეგ „ეკრანი გამოსცემს“ რაღაც კოსმიურ დისპარმონიულ ექსს, პასუხებულებელის შემატყობინებელ რაღაც ენთროპულ ინფორმაციას, რომელიც ისეთი კომპიუტერიზებული ეთერიდან მოედინება, რომელშიც გადაცემები ჯერ არ დაწყებულა, ან უკვე დამთავრებულია. ეს ხმები ფილმის პერსონაჟებს კი არ ესმით, არამედ მათ თავებში გაისმის; აზროვნებისაგან ამ უკიდურესად დაძაბული თავებიდან გამოდის, იღვრება და ვრცელდება ჯერ ეკრანულ და შემდეგ მთელს ეკრანსგარეთა სამყაროში. მით უფრო აუტანლად ძლიერი და გაუსაძლისად აწეულია ეს ხმა, რაც უფრო ძლიერი და ღრმაა ჩაფიქრება წმინდასა და ჭეშმარიტზე; ყოველთვის ასე ხდება, როცა მღვდელი და მრევლი ზიარებას ატარებენ, ან აზრობრივად დაუძახებენ და გულით მიმართავენ „ღმერთს“. დაძაბილზე მოდის არეული, ენთროპიული „პოსტ-“-ხმები, არსებობამდელი და არსებობის შემდგომი შორეთის ხმები, და სრულიად მკაფიო და მკაცრად გასაგები პასუხი: „უფალი სდუმს, უფალი სდუმს, უფალი სდუმს“. ამ სამგზის გამეორებულ ორსიტყვიან ცნობას მღვდელი გადმოგვცემს როგორც მედიუმი, როგორც ქადაგი, როგორც ჰერმესი – კაცთა და ღმერთთა შორის ამბების მიმომტანი შიკრიკი და ინფორმატორი. ამ შემთხვევაში მღვდელი ჰერმენევტიკოსია, ხოლო ჰერმენევტიკა დისკურსის გარკვეული სახის გამოვლინებაცაა და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მიმართულებაც თანამედროვე ფილოსოფიასა და თეოლოგიაში.

რატომ აქვს სიტყვა „ჰერმენევტიკას“ ასეთი ძლიერი პოზიტიური დატვირთვა? ვცადოთ, გავიგოთ თუ რას გულისხმობენ ამ სპეციალურ ტერმინში; და არა მარტო იმიტომ, რომ მკითხველს ჩვენი წიგნის შინაარსის გაგება გავუადვილოთ; უფრო იმისათვის, რათა შეძლებისდაგვარად ნათლად გავერკვეთ ამ ერთობ რთულ ფილოსოფიურ მოვლენაში.<sup>1</sup>

აზროვნების ისტორიით დაინტერესებულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ აღმავალი ეპოქები ყოველთვის „რაღაცას ამბობენ“, ხოლო კრიზისულნი მხოლოდ „რაღაცის შესახებ“ ბჭობენ. მაგალითად, ნიცშეს თვლიან დიდ მოაზროვნედ, რამდენადაც მან დაარღვია კრიზისული ეპოქის მენტალური ეტიკეტი და „რაღაცის თქმა“ გაბედა. მასში თვით „სიცოცხლის სილრმეთა ყვირილი“ გაიგონეს.

„შესახებ თქმა“ სტანდარტული უნარია; ხოლო „რაღაცის თქმა“ საჭიროებს შემოქმედებით ნიჭს. ხშირად სვამენ კითხვას: „რატომაა, რომ ჩვენს ეპოქაში აღარ ჩანან პლატონები, ნეტარი ავგუსტინები და ეკარტები?“. ამის მიზეზი არ შეიძლება იყოს გენიალობის ფიქლოლოგიური უნარის ნაკლებობა. ზოგიერთი ფილოსოფისის დაკვირვებით, ტექნიკის საუკუნეში ბატონობს ნება უნიჭობისადმი (არამადლისმიერი აზროვნება), მაგრამ თითოეულ ადამიანში ძევს გენიალური საწყისი და მისი სიტუაციური რეალიზების უნარი. უნდა მოხდეს შემობრუნება აზრთანცობაში; უნდა განახლდეს ნება გენიალურობისადმი. ადამიანის ულრმეს ნიაღში უნდა ამუშავდეს ქარიზმატული (მადლისმიერი) აზროვნება. ესაა ჰერმენევტიკის სახელით ცნობილი დისციპლინის დანიშნულება.

ჩავთვალოთ, რომ ვიცით რა არის ჰერმენევტიკა. ახლა ვცადოთ, ასევე ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ ზეკაცის ჰერმენევტიკაზე.

1. ფილოსოფიური ჰერმენევტიკის როგორც თანამედროვე აკადემიური დისციპლინის გამოწვევებზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს. ამ დარგისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა XX საუკუნის სამი დიდი ჰერმენევტიკოსის – მარტინ ჰაიდე-ეგრის, პან-გეორგ გადამერის და პოლ რიკიორის თხზულებებს აქვთ. 80-90-იან წლებში მნიშვნელოვანი ასპექტები გამოავლინეს „პოსტმოდერნის“ თეორეტიკოსებმა – დელიმზმა, ფუკომ, დერიდამ და სხვებმა. მათი შრომების ზედმინითი ანალიზი ჩვენი კვლევის გეზს შეცვლიდა და თემას აგვაცდენდა.

ჩვენ ყველანი „ჩვენი დროის შვილები“ ვართ; დრო გაგებ-ის ჰორიზონტია. ყოველ ადამიანს ახასიათებს ის, რასაც „ეპო-ქალური კონტექსტი“ ეწოდება. გენიოსად ის ითვლება, ვინც „თავის დროს“ გაუსწრო. შპენგლერი თვლიდა, რომ დროები ორგანისტულ-ფაზური ბუნებისანი არიან. „ჩვენ დროს“ იგი სიბ-ერის ფაზაში ათავსებდა. შესაბამისად „ჩვენი დროის“ ადამიანის სპეციფიკას დაბერების და „მიხრნილობაში გადადგომის“ ასპე-ქტში განიხილავდა. მაქს შელერთან კი ამგვარი სიმბოლოა „მორ-ბენალი ჭაბუკი“, რომელიც თავისი საკუთარი ძალებით გარბის უკვდავებაში. ადამიანის არსებას ახასიათებს კონკრეტულსიტ-უაციური თავისებურებანიც. ჰერმენევტიკული ანთროპოლოგია ეპოქის თვითრეფლექსიის მცდელობაა, მისი საგანია ადამიანის სპეციფიკა „ჩვენი დროის“ ჰორიზონტში. ნიცშე გვიამბობს იმის შესახებ თუ აღნიშნული სპეციფიკის ძებაში როგორ იპოვა შე-საბამისი სიტყვა Übermensch, ზეკაცი: „იქვე ვიპოვე მე სიტყ-ვა „ზეკაცი“ და რომ ადამიანი რაობაა, რომლის დაძლევა ხამს“ (ნიცშე 1982: 164). „არათანადროულ ფიქრებში“ ნიცშე შენატრის თავის ეპოქაზე მაღლა მდგომ ინდივიდს, გამორჩეულს, გენიოსა, რომელიც სათავეს დაუდებს საკუთარი ნების კარნაზით მოქ-მედი არსებების – „კაცობრიობის უმაღლესი ეგზემპლარების“ შექმნას. ნიცშე მახარებლის სტილში წერს: „გაფიცებთ ძმებო!.. გასწავლით ზეკაცს!“. ვინ არის ის ზეკაცი, რომელიც ადამიანის შემდეგ მოვა, სიკეთესა და ბოროტების მიღმა დადგება და ამი-ტომ „ქრისტეზე უფრო ჭკვიანი“ იქნება? როგორ შეიძლება იგ-ივე მიმართებაში იყო ადამიანთან, როგორც ადამიანია მაიმუნ-თან? ყოველი არსის არსებობის აზრია შექმნას თავისი „ზე-რამ“. ამ აზრით უნდა გადალახოს ადამიანი ზეკაცმა; ცხოველი ხომ დაძლია ადამიანმა?! მაგრამ ამ „დაძლევამ“ სიცოცხლის დაა-ვადმყოფება გამოიწვია. ზეკაცის ქადაგი მიმართავს ადამიანებს: „ამჯობინებთ ცხოველებად უკუიქცეთ, ვიდრე სძლევდეთ ადამი-ანსა?“. „ადამიანი თოკია ცხოველსა და ზეკაცს შორის“, „თოკი უფსკრულსა ზედა“... „იგი ხიდია და არა მიზანი“, „გვექმენ ჩვენ უკანასკნელ ადამიანებად და ჩვენ გაჩუქებთ ზეკაცს“ (ნიცშე 1983: 3-4).

როგორც შენიშნულია, ზეკაცი არ არის ახალი ეტაპი ბიოლოგიური ევოლუციის გზაზე (თუმცა ასეთი ინტერპრეტაციის მომხრეც ბევრია), ან ახალი სოციოლოგიური სახეობა (ასეც განმარტავენ ხოლმე), – არამედ ესაა უმაღლესი ტიპის სრულყოფილი არსება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სიკვდილით დეტერმინირებულ სწრაფდაცლად სიცოცხლესთან, „მცენარისა და მოჩვენების ნაზავთან“, სიცოცხლის პროლეტართან, უკვე დაძველებულ ადამიანთან. რითაა ის სრულყოფილი? უპირველეს ყოვლისა „ბატონობის ცოდნით“. „მან იხილა ახალი ჭეშმარიტება“ ზეკაცი ახალი ეტაპია ცოდნის ევოლუციის გზაზე. „უკანასკნელი ადამიანი“ ისაა, ვინც იცის, რომ იგი უნდა გადაილახოს. ამის ცოდნაა „დიონისური სიპრძნის“ ანუ „გადალახვის სიპრძნის“ დასაწყისი.

ყველა დიდი ჰერმენევტიკოსის ფილოსოფიური საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება პირადი გამოცდილების მომენტებს. ძნელია ნიცხეს აფორიზმების გაგება, თუ არ გავითვალისწინებთ ავტორის სულიერ ავადმყოფობას. 1878 წლიდან მას აწუხებს სულიერი სნეულება, რომლის თანმხლებია თავის ტკივილები, „ზოგადი დაქანცულობა“. რაც არ იყო გამოწვეული მხოლოდ სამედიცინო ფაქტორებით. ის შეპყრობილი იყო ევროპული კულტურის „ერეატიული ვიპრაციების“ კლების შეგრძნებით. ეს ტენდენცია აზროვნებას აქცევს აუტანლად მძიმე ტვირთად. ადამიანი უარს ამბობს ამ სიმძიმის ტარებაზე, „აზრის სისწრაფით მოძრაობაზე“; გადადის უფრო „შენელებულ ფორმებზე“, ეგუება მზა მოსაზრება-კლიშეებს. სწორედ ამგვარი დაქანცულობიდან გამოჯანმრთელების ქადაგია ნიცხე. მისმა სუპერმენის კონცეპტმა უნდა გვასწავლოს, თუ როგორ მოვიპოვოთ ულევი სასიცოცხლო ენერგიები. „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ნიცხესული ტრადიციის გამგრძელებლებმა (დილთამ, ბერგსონმა და სხვ.) სიცოცხლის სარეზერვო ენერგორესურსების ამუშავების მთელი სტრატეგია შეიმუშავეს, ამას უწოდეს „ჰერმენევტიკა“.

პისტსაზოგადოების იდეოლოგიაში ანუ „ცნობიერების სუპერსტრუქტურაში“ (როგორც თანამედროვე სოციოლოგები უწოდებენ) გადამწყვეტი როლი მოიპოვა სუპერმენთა („სუპერვარსკვ-

## **მამოხელობა „აქტი“-ს მიერ მამოხელული წიგნები**

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და პოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკევეზი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. ერის ფრომი – ადამიანის სული
21. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
22. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
23. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური  
და არაკლასიკური იდეალები
27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
33. ოშო – რა არის მედიტაცია?
34. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
35. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიიზმი, ფემინიზმი
36. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
37. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
38. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების  
პრინციპების შესახებ
39. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
40. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
41. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
42. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II
43. ეკარტ ტოლე – აწმყოს ძალა
44. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის პერმენევტიკა: პიეროფანიები  
და ენერგეტიკული პარადიგმები